

დაწყვილებული, რომლებიც საომარი მოქმედების აღსანიშნავადაც იხმარება: **დალაშქვრა**, **დაპურობა**, **დაძლევა**, **შეტევა** და მისთ.

**ზღუდე** სიტყვის ამგვარ გამოყენებას ხშირად ახლავს ამალლებული სტილით მეტყველების პრეტენზია. შედეგი საპირისპიროა: მას დაკარგული აქვს გამომსახველობა და შტამპად აღიქმება.

### თ

**თავ-**. სახელი თავი ქართულში ერთი ყველაზე პოლისემიურ სიტყვათაგანია. მისი ერთ-ერთი გადატანითი მნიშვნელობა ზედსართაულია და იგივეა, რაც: მთავარი, ძირითადი, არსებითი. სწორედ ამ მნიშვნელობითაა იგი გამოყენებული უკანასკნელი ხანების პრესის ენაში ახალი სიტყვების საწარმოებლად ან უკვე არსებულ სიტყვებში ახალი შინაარსის ჩასადებად. ეს სიტყვები რთული აგებულებისაა და თავ- ფუძე მათი პირველი კომპონენტია.

1. **თავფურცელი**. ამ სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობაა: წიგნის პირველი, დასაწყისი გვერდი, რომელზედაც სათაურია დაბეჭდილი.

თანამედროვე სიტყვათხმარებაში აშკარად შეინიშნება **თავფურცელ-** სიტყვა-ტერმინის მნიშვნელობის უმართებულო, ხელოვნური გაფართოების ტენდენცია. კერძოდ, ამ რთულ სახელს ტვირთავენ ისეთი სემანტიკური ნიშან-თვისებებით, როგორცაა: მნიშვნელოვანი, მთავარი, ძირითადი. მაგ.: „გმირული ისტორიის **თავფურცელი** [უნდა იყოს: ერთი ფურცელი, ანდა: მნიშვნელოვანი (შესანიშნავი) ფურცელი]“ („კომ.“); „მოდით, გადავშალოთ ჩვენი საოჯახო ალბომის კიდევ ერთი **თავფურცელი**“ (ტელეგად. „იავნანა“). აქ ზედმეტია თაველემენტი: შესიტყვება **კიდევ ერთი ხაზს** უსვამს უფრო საგანთა გათანაბრებას, ვიდრე ერთგვარობა-წონასწორობის დარღვევას ერთ-ერთის გამოყოფის გზით. საერთოდ, სიტყვა **თავფურცელი** და რიცხვითი სახელი ერთად შეუთავსებელია, ვინაიდან **თავფურცელი** მუდამ ერთადერთია (სხვა ფურცლებთან მიმართებით). ამიტომ მოყვანილ სიტყვათა შეხამებისას ზედმეტია ერთ-ერთი: თავ- კომპონენტი ან რიცხვითი სახელი.

2. **თავწყარო** სალიტერატურო ქართულისათვის და ზეპირი მეტყველებისათვისაც უცხო ლექსიკური ერთეულია. იგი ხელოვნური შენაერთია კარგად ცნობილი ქართული სიტყვებისა თავი და წყარო და საწარმოებია იმავე წესით, რაც თავკაცი (მეთაური, ხელმძღვანელი), აგრეთვე თავწყალი, თუმცა ეს უკანასკნელი მხოლოდ ზმნურ შესიტ-

ყვებაში იხმარება (თავწალს გაადენს, თავწალს გაართმევს, თავწალს გასვლა) და თავისი შინაარსით არაფერი აქვს საერთო თავწაროს სიტყვაში ნაგულისხმევ მნიშვნელობებთან. ეს კომპოზიტი თავანკარა-სთან ასოციაციური კავშირის შედეგად შეიძლება იყოს მიღებული (რამდენადაც ანკარა იხმარება წყაროს, წყლის მსაზღვრელად).

იმის გამო, რომ სიტყვა თავწარო ნასაზღვრეობა თავისუფალი ასოციაციებით და სტიქიური, გაუკონტროლებელი სიტყვათშემოქმედების ნიმუშია, მისი მნიშვნელობაც, ბუნებრივია, მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის. შდრ.: „თავდადებული შრომა გამარჯვების თავწაროა“ („კომ.“); „მჭიდროდ, ორგანულად შევხამოთ თითოეულ შრომით კოლექტივში პოლიტიკური, ორგანიზატორული და სამეურნეო საქმიანობა — აი რა არის ახლა მთავარი და გადაუდებელი, აი რა არის ჩვენი წარმატებული გარჯა-რულუნების თავწარო!“ („კომ.“). თუმცა ხაზგასმული რთული სიტყვის ზოგადი მნიშვნელობა თითქოს ნათელია — ნიშნავს მთავარ წყაროს, საფუძველს, საწინდარს, მაინც ორსავე შემთხვევაში აჯობებდა ეხმარათ რომელიმე ამ ტრადიციულ სიტყვათაგანი: საწინდარი, საფუძველი, მთავარი პირობა, თავიდათავი...

სიტყვა თავწარო დღესდღეობით ხელოვნურ ერთეულად აღიქმება. მას არავითარი უპირატესობა არა აქვს ზემოაღნიშნულ ბუნებრივ და ტრადიციულ სინონიმებთან შედარებით, გარდა იმისა, რომ უჩვეულობის გამო იქცევა ყურადღებას. იგი არც რაიმე დამატებითი სემანტიკური ნიუანსის შემცველია (მხოლოდ ერთგვარი არასასურველი მაღალფარდოვნება შეაქვს ნეიტრალურ კონტექსტში). ამიტომ ბუნებრივია, რომ მას სოციალური საჩქცია და მოქალაქეობრივი უფლება არ მოუპოვებია.

**თავიანთი** კუთვნილებითი ნაცვალსახელია და ნიშნავს: თვითონ მათი კუთვნილი, საკუთარი, თავისი — ბევრისა. ამავე დროს ეს ბევრი გრამატიკულად სუბიექტი უნდა იყოს: მათ უყვართ თავიანთი სამშობლო; ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენ.

**თავიანთ-** ფორმისათვის ამოსავალი ჩანს თავ- უკუქცევითი ნაცვალსახელი -იან ქონების სუფიქსითა და -თ მრავლობითობის ნიშნით, რომელიც ამ შემთხვევაში სუბიექტის მრავლობითობაზე მიუთითებს.

სხვა კუთვნილებითი ნაცვალსახელების მსგავსად, აქაც ამოსავლად ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა სავარაუდებელი.

**თავიანთ-** ნაცვალსახელი ძველ ქართულ სალიტერატურო ენას არ ჰქონია. იგი, მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, სალიტერატურო ქართულში დიალექტებიდან შემოდის და დამკვიდრებას ლამობს; თუმცა ამის აუცილებლობა ყოველთვის არ ჩანს, ვინაიდან თავის-

ნაცვალსახელი ითავებს მრავლის (ბევრის) კუთვნილების ფუნქციასაც: მათ უყვართ თავისი სამშობლო, ისინი თავის საქმეს აკეთებენ. თავიანთ- ფორმა მრავლობითში იხმარება ისეთ სიტუაციაში, როცა მხოლოდობით თავის- ნაცვალსახელი უპირისპირდება. მაგრამ გვხვდება ამ წესიდან გადახრის შემთხვევებიც იმგვარივე ხასიათისა, როგორც მის- (იხ.) და თავის- (იხ.) ნაცვალსახელების ხმარების დროს შეინიშნება.

მაგალითად, ერთი მხრივ, მოსალოდნელი თავიანთ- ნაცვალსახელის მაგივრად უხმარიათ მათი (მის- ნაცვალსახელის მრავლობითი): „მსურველებს აქვთ დრო, განცხადებით მიმართონ სასწავლებლებს, უქმად არ დაკარგონ წლებანდელი წელიწადი, არამედ მათი რჩეული პროფესიის დაუფლებას მიუძღვნან“ („ახ. კომ.“); „ერთმანეთის ლაპარაკს მოწყურებულები დიდხანს იხსდნენ კოლმეურნეობის გამგეობის ეზოში ალვის ხის შორზე და ბჭობდნენ მომავალ საქმეებზე, სიცილით იგონებდნენ მათი გაბუტვის ამბავს, რომლის გამოც ამდენი ხალხი აფორიაქდა“ („თბილ.“).

მეორე მხრით, თავიანთ- ნაცვალსახელი უხმარიათ მოსალოდნელი მათ- ნაცვალსახელის მაგივრად: „თვით ყვარლელები განაწყენდებიან, ალბათ, თუკი თავიანთი [უნდა იყოს: მათი] საამაყო მევენახის... სახელს დაუშვალავთ მკითხველს“ („თბილ.“). თავიანთი იმ შემთხვევაში გამოდგებოდა, სუბიექტის კუთვნილება რომ გამოეხატა: ისინი დამაღვენ (დაუშვალვენ) თავიანთი საამაყო მევენახის სახელს. აქ ნაცვალსახელით აღნიშნულია მფლობელის (ამავე დროს სუბიექტის) რიცხვი.

**თავისი.** კუთვნილებითი ნაცვალსახელი თავისი ნაწარმოებია უკუქცევითი თავ- ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან და აღნიშნავს: რაც ან ეინც თვითონ მას ეკუთვნის; მის საკუთრებაში მყოფი, მისი საკუთარი (სუბიექტისა): „ყვავსაც თავისი ბაზალა მოსწონს“ (ანდ.); „ჩამს, თავისსა ზვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს“ (რუსთ.).

თანამედროვე ქართულში ამ ნაცვალსახელის არასწორად გამოყენების რამდენიმე შემთხვევა შეინიშნება:

1. თავის- ნაცვალსახელის ხმარება ტავტოლოგიურ შესიტყვებას ქმნის და ამდენად ზედმეტია: „მამაკაცის ჩაცნულობას თავის ლაზათს მატებს გემონებობით შერჩეული ჰალსტუხი“ („ცნ. ფურც.“); „[მატრიკულის] პირველი გვერდის მთელ სიგანეზე თავისი მეტად თავისებური და კალიგრაფიული ხელით მოაწერა...“ („ლიტ. საქ.“). ტავტოლოგიურია შესიტყვებები: თავისი ავტობიოგრაფია (ავტობორტრეტი, ავტოგრაფი. იხ. ავტო-), თავისი თანაქალაქელი (თანასოფლელი და მისთ. იხ. თანა-).

2. თავის- ნაცვალსახელი არასწორადაა გამოყენებული მის- ნაცვალსახელის მაგივრად: „ფეოდალს სურდა თავის სამფლობელოში არსებულიყო მოქმედი იდეოლოგიური ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობდა მისი უფლებების განმტკიცებას“ („მნათ.“); „თავის მრავალ ჯილდოს კიდევ ერთი საპატიო ჯილდო მიმატებოდა“ („სახ. ჯან.“) და მისთ.

3. თავის- ნაცვალსახელის მაგივრად გამოყენებულია მისი (იხ.). თავის- და მის- ნაცვალსახელების გამოყენებაში ასეთი აღრევა აიხსნება იმით, რომ ძველად (დიალექტებში ახლაც), ერთი მხრით, მისი სუბიექტის კუთვნილებასაც გამოხატავდა და ობიექტის კუთვნილებასაც; მეორე მხრით კი, თავისი გამოხატავდა ყველა პირის (ჩემი, შენი, მისი) კუთვნილებას. თავის- ნაცვალსახელს მოგვიანებით მიეჯაჭვა უკუქცევითობის ფუნქცია III სუბიექტური პირის კუთვნილების აღნიშვნისას. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ბოლომდე არ არის გატარებული და დამკვიდრებული ეს წესი და აღრევაც ამისი გამოხატულებაა.

მაშასადამე, ნაცვალსახელი თავისი ისეთ შემთხვევებში უნდა გამოიყენებოდეს, როცა საუბარია მე სამე სუბიექტური პირის კუთვნილებაზე: ყველას უყვარს თავისი სამშობლო; „ბეკინა თავისას იმეორებდა და შეურყეველად იდგა თავის სიტყვაზე“ (დ. კლდ.).

**თავფურცელი** იხ. თავ-.

**თავჟჳარო** იხ. თავ-.

**თანა-** ელემენტი ქართულში მრავალ რთულ სიტყვას აწარმოებს: არსებით სახელებს, ზედსართავებს, ზმნებს, ზმნისართებს, საწყისებსა და მიმღებებს: თანასოფლედი, თანამემამულე, თანასწორი, თანაბარი, თანატოლი, თანაზიარი, თანამეცხედრე, თანამშრომელი, თანამგზავრი, თანამდებობა, თანაუგრძნობს და მისთ. ამ ელემენტის ფუნქციაა აღნიშნოს თანობა ან რაიმე თვისების ტოლობა-თანასწორობა, მოქმედებისა თუ მდგომარეობის განაწილება-გაზიარება და ა. შ. ეს ფუნქცია თანა- ელემენტს ძველი ქართულიდანვე დაჰყვა.

უკანასკნელ ათეულ წლებში საბჭოთა ყოფისათვის დამახასიათებელი კოლექტიური შრომისა და ხალხთა შორის კონტაქტების გაფართოების კვალობაზე, სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებისა და კოლექტივების დამეგობრება-დაშობილებისა და სხვა მრავალი ასეთი ფაქტის საფუძველზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ კონტაქტებისა და თანამშრომლობის ამსახველი ლექსიკაც: უფრო ინტენსიური გახდა უკვე არსებულ სიტყვათა მრავლის გამოყენება, გაცოცხლდა და გააქტიურდა ამ ელემენტის შემცველი ძველი, შედარებით პასიური ლექსიკაც. მაგ-

რამ სწორედ ასეთი ლექსიკის გააქტიურებამ არაერთი გაუგებრობა და სიძნელე წარმოშვა.

ძირითადი სირთულე ახლავს სიტყვათა სემანტიკის გაუმართლებელ ცვალებას, რაც გამოწვეულია ამ სიტყვების ტრადიციული მნიშვნელობის გაუთვალისწინებლობით ან დაუდევრობა-უყურადღებობით. რიგ შემთხვევაში სიტყვათა სემანტიკური ცვალებადობა (გაფართოება-დავიწროება) ობიექტური მიზეზებითაა შეპირობებული, კერძოდ, ნაკარნახევია ტერმინოლოგიური საჭიროებით. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს რამდენიმე რთული სიტყვა: **თანადგომა**, **თანადროული** (თანადროულობა), **თანამეგობრობა**, **თანამოსაქმე**.

1. **თანადგომა** ძველი ქართულიდან მომდინარე სიტყვაა (მასდარული ფორმაა) და ნიშნავს დახმარებას, შეწევნას, მხარის დაჭერას (რაიმე საქმეში): „გიორგიმ დრო იხელთა. აჯანყებულებთან მოლაპარაკება დაიწყო, **თანადგომა** აღუთქვა კენისრის წინააღმდეგ ბრძოლაში“ (ქ. გამს.); „სახელმწიფო საკითხებს ხალხის წინამძღოლთა და ერისთავთა **თანადგომით** და ერთიანობით ვჭრი მეცა“ (შ. დად.). მასდარის გარდა, არსებობს მიმლეობური ფორმაც — **თანამდგომი**, რომელიც იგივეა, რაც: შემწე, დამხმარე — მხარის დამჭერი: „შენა ხარ ჩემი სიყვარული... ამიტომაც გიგულეზდი **თანამდგომად** მარტო ბრძოლაში“ (ქ. გამს.).

მაშასადამე, ტრადიციული მნიშვნელობა **თანადგომა** სიტყვისა გულისხმობს ძლიერისაგან, შემძლისაგან სუსტის, დაჩაგრულის, ჭირში ჩავარდნილის დახმარებას, მხარდაჭერას, შეეღას და ამ გზით მისი ხვედრის გაზიარება-შემსუბუქებას და არა უბრალოდ ერთად ყოფნას, თანაზიარ არსებობას. სწორედ ამ უკანასკნელი — არასწორი, არატრადიციული გაგებით არის ნახმარი ეს სიტყვა ბოლო წლების ქართულ პრესაში და ზოგჯერ მხატვრულ ლიტერატურაშიც: „მეგობრობის დიდი სახლი უწოდა თბილისს ბოტემა და მართლაც ბევრი ქალაქი ვერ დაიტრიაბანებს ინტერნაციონალური ძმობის ასეთ სანიმუშო **თანადგომას**, როგორც საქართველოს დედაქალაქი“ („თბილ.“). ცნებები **მეგობრობა** და **ძმობა** სწორედ თანასწორთა ურთიერთობას გულისხმობს და არა ძლიერისა და სუსტისას. „მათმა **თანადგომამ**... გამოცდილი კოლეგების [ფეხბურთელების!] მხარდამხარ თამაშმა ბევრი შესძინა ე. მარლანისა“ („ახ. კომ.“). კონტექსტში **მხარდამხარ თამაში** ცხადყოფს **თანადგომა** სიტყვის უმართებულო ვასინონიმების ცდას **ერთად ყოფნასთან**, **ერთად მუშაობასთან**, **თამაშთან** და ა. შ. რამდენაღმე შესაფერისია ამ სიტყვის გამოყენება თანაგრძნობა-გულშემატკივრობის გაგებით. შტრ.: „თამაში თქვენი — **თანადგომა** ჩვე-



ნი“ („კომ.“), თუმცა **თანადგომა** სიტყვაში ნაგულისხმევი ურთიერთობა ძლიერისა და სუსტისა ამ კონტექსტში არ იეარაუდება.

სხვა შემთხვევაში ამ სიტყვის ხმარებასთან დაკავშირებული დარღვევა ზმნასთან მის შეხამებას ეხება. შტრ.: „ადამიანი ქალაქში ცხოვრობს, იგია მისი ბატონ-პატრონი და მას ევალება ამ საზრუნავს მიხედოს, ყურადღება და **თანადგომა** არ მოაკლოს თავის ადგილსამყოფელს“ („თბილ.“). ყურადღებისა და ზრუნვის ცნებებთან **თანადგომის** გასინონიმებამ აღნიშნული სიტყვების შემცველი მყარი გამოთქმების გვერდით (**ზრუნვა, ყურადღება არ მოაკლოს**) შექმნა უმართებულო შესიტყვება — **თანადგომა არ მოაკლოს**, რომელიც მიუღებელია ქართული სიტყვათხმარებისათვის.

2. **თანადროული** ასევე რთული შედგენილობის სიტყვაა. ეს ზედსართავი იხმარება ხან **ერთდროულის** სინონიმად, ხან კი — **თანამედროვისა**. მაგ.: 1. „ჩვენ ვიქნებით მოწამენი დაგირავეებული მამულების გახშირებული და **თანადროული** გაყიდვისა“ (ნ. ნიკოლ.); 2. „მეოთხე მოქმედების დასაწყისი ...კომპოზიტორს დაწერილი აქვს ოჯახის როლისა და მნიშვნელობის ღრმა **თანადროული** გაგებით“ (კომ.“). აქედანვე ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი **თანადროულობა**: „**თანადროულობის** დიდ ფილოსოფიურ და სპირიტუალურ პრობლემებს შეჭიდებული მოაზროვნის ამ შედეგით აღტაცება... შემთხვევითი არ არის“ („ცისკ.“).

ზედსართავები **თანამედროვე** და **თანადროული**, სინონიმური მნიშვნელობის მიუხედავად, დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სიტყვათმოხმარების თვალსაზრისით. **თანამედროვე** გაცილებით ფართო ცნებაა და ამიტომ მრავალ სხვადასხვა სახელთან ქმნის ბუნებრივ შესიტყვებებს: თანამედროვე მსოფლიო, თანამედროვე ადამიანი, თანამედროვე მეცნიერება, თანამედროვე ხელოვნება და მისთ. მეტიც, სემანტიკურმა თავისუფლებამ მას ერთგვარი ფორმოებრივი თავისუფლებაც მიანიჭა: ხშირად იგი იხმარება არსებითი სახელის ფუნქციით — საზღვრულს აღარ საჭიროებს: „ვრ. ორბელიანის **თანამედროვე** იყო ნ. ბარათაშვილი“ (ილია); „მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი, ვარ ახალ ქართლის **თანამედროვე!**“ (გ. ლეონ.).

რაც შეეხება **თანადროულს**, იგი მეტად ვიწრო მნიშვნელობით იხმარება და უსათუოდ მისამართი საგნის (ჩვეულებრივ, უსულოს) ან მოქმედების თანაობას, თანყოფნას ვარაუდობს: მაგ., **რისამე თანადროული**, რაც მისი სინონიმისათვის (**თანამედროვე**) სრულიადაც არ არის აუცილებელი. **თანადროული** საზღვრულის გარეშე ნაკლებ იხმარება, მაგრამ მართული მსაზღვრელის გარეშე საერთოდ არ იხმარება.

აშუამად **თანამედროვე**-ს მნიშვნელობით **თანადროული** გამოყენება დიდად პოპულარული არ არის. სამაგიეროდ, გახშირდა ამ ზედსართავის ხმარება **თანადროულ**- სიტყვის ერთ-ერთი კომპონენტის — **დროული** ფუნქციით (=დროის შესაფერისი, დაუგვიანებელი, აქტუალური) და სინონიმური **თანამედროვე**-ს გავლით — **აქტუალური**-სიტყვის მნიშვნელობა შეიძინა. შდრ.: „ამ ოპერის დაბრუნება სცენაზე დღეს არა მხოლოდ **თანადროული** [უნდა იყოს: აქტუალური, ან: დროული], არამედ კანონზომიერიც აღმოჩნდა“ („კომ.“); „ამდენად, შრომითი სწავლების როლის გადიდება [თუ გაზრდა?] სკოლის ამ საფეხურზე მეტად საჭირო და **თანადროული** [უნდა იყოს: დროული, ან: აქტუალური] მოთხოვნა იქნება“ („კომ.“).

3. **თანამეგობრობა**. რთული შედგენილობის ეს განყენებული სახელი შედარებით ახალი წარმონაქმნია და მისი ხმარება ძირითადად სალიტერატურო ენით შემოიფარგლება. ამ კომპოზიტის შემადგენელი ორივე ნაწილის სემანტიკა ნათელია: პირველი კომპონენტი **თანა**-მიუთითებს თანაობა-ერთიანობაზე, ზიარ თვისებასა თუ მოქმედებამდგომარეობაზე, განცდაზე და მისთ.; **მეგობრობა** — მეგობრებისათვის დამახასიათებელი ურთიერთობა. აბსტრაქტული სახელისათვის **თანამეგობრობა** ამოსავალია **თანამეგობარი**, რომელიც წიგნის ენაში საერთო პროფესიის მქონე ადამიანთა აღსანიშნავადაც ყოფილა გამოყენებული: „საქართველოს მეშახტეები დონბასელ **თანამეგობრებს** მოუთხოვრებენ თავიანთი შრომისა და ცხოვრების შესახებ“ („კომ.“). ამ მნიშვნელობით მას ხშირად ენაცვლება თითქმის მსგავსივე წარმოების სიტყვა **თანამოსაქმე** (იხ. თანა-, 4).

კომპოზიტმა **თანამეგობრობამ** ოფიციალურ, წიგნის ენაში დიდი სამაშულო ომის შემდგომი პერიოდიდან მოიკიდა ფეხი სალიტერატურო ენაში. ეს სიტყვა შეიქმნა უფრო რუსული ენის გავლენით და ანალოგიით. რუსულში სიტყვა **содружество** ამავე პერიოდის სიტყვაწარმოების ნიმუშია და სალიტერატურო ენაში შევიდა უკვე არსებული სახელის **дружба**-ს გვერდით და მისგან გასამიჯნავად. ამ სიტყვების სემანტიკა გამდიდრებულია ახალი ტერმინოლოგიური შინაარსით, რომელშიც ივარაუდება მსხვილ ერთეულთა — ქვეყნების, სახელმწიფოების, ერების, ხალხების პოლიტიკურ-იდეოლოგიური ერთიანობა. მაგ.: „დიდი ბრიტანეთის საგარეო და **თანამეგობრობის** [ე. ი. მოკავშირე კაპიტალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის] საქმეთა სახელმწიფო მინისტრი... გაფრინდა გრენდაში...“ („კომ.“).

საბჭოურ სიტყვათხმარებაში **თანამეგობრობა** გულისხმობს სოციალისტურ ბანაკში შემაჯავლი ქვეყნების მეგობრობა-თანამშრომლობას. მაგ.: „საბჭოთა პატრიოტიზმს საფუძვლად უდევს... ჩვენი ქვეყნის

ყველა ერის მშრომელთა ძმური თანამეგობრობა“ („კომ.“); „თანამეგობრობის მარშრუტი: თბილისი — ვარშავა“ („კომ.“ — სათ.); „ქართველ და პოლონელ სცენის ოსტატთა ერთობლივი მუშაობა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ჩვენს ქვეყნებს შორის კულტურული თანამეგობრობის განმტკიცების გზაზე“ („კომ.“). ამ ტერმინის სრულ სახელწოდებაში ივარაუდება მსაზღვრელიც — სოციალისტური: სოციალისტური თანამეგობრობა. თვით აღნიშნული ქვეყნები კი იწოდებიან სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებად (შღრ. რუს. страны социалистического содружества). უკანასკნელ წლებში ცენტრალურმა ტელევიზიამ შექმნა კიდევ ტელეგადაცემათა საგანგებო ციკლი „თანამეგობრობა“ („Содружество“), რომელიც აშუქებს სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის მნიშვნელოვან საკითხებს.

მაგრამ ამ ბოლო ხანების ქართულ პრესაში შეიმჩნევა ტენდენცია ამ სიტყვის ტერმინოლოგიური მნიშვნელობის მეტისმეტად გაფართოებისა. ეს სიტყვა არცთუ იშვიათად იხმარება ერთი და იმავე ქალაქის სხვადასხვა სკოლის ან სხვა მსგავს დაწესებულებათა მეგობრობა-თანამშრომლობის აღსანიშნავად, რაც ამ სიტყვის სემანტიკის ხელოვნური გაფართოების გზით აღარ იბეებს მისსავე ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას.

ასეთ და მსგავს შემთხვევებში სიტყვა თანამეგობრობის ხმარება შეძლებისდაგვარად უნდა შეიზღუდოს, მით უფრო, რომ თვით ამგვარი წარმოება თანა-ელემენტით ქართულში ტაქტოლოგიური ჩანს: მეგობრობა მხოლოდ და მხოლოდ საურთიერთო დამოკიდებულებას აღნიშნავს, თანა-ელემენტსაც ამავე ურთიერთობის აღნიშვნა აკისრია. ამ მხრივ რუსულში რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა: სიტყვები дружба და содружество თუმცა ერთსა და იმავე ძირს იყენებს, მაგრამ მათ სხვადასხვა აფიქსით აფორმებს, რაც ასუსტებს ამ სიტყვათა იგივეობის შეგრძნება-შთაბეჭდილებას. ვინაიდან ქართულში მეგობრობა და თანამეგობრობა მხოლოდ თანა-ელემენტითაა განსხვავებული, იგივეობრივი კავშირი ამ სიტყვებს შორის უფრო ძლიერია. ამიტომ არ არის სასურველი, ტერმინოლოგიური მნიშვნელობა სიტყვა თანამეგობრობისა, რომელიც მასშტაბური ხასიათის ურთიერთობა-თანამშრომლობას გულისხმობს, განზოგადდეს და დაიტვირთოს ვიწროლოკალური კოლექტივების საქმიანი ურთიერთობა-თანამშრომლობის შინაარსითაც.

4. თანამოსაქმე აღნიშნავს იმ პირს, ვინც ვინმესთან ერთად საქმიანობს, ვინმესთან ერთად მონაწილეობს რაიმე საქმეში, — სხვასთან ერთად მოსაქმე, საქმიანობის მონაწილე. ცხადია, იგულისხმება



თანამოსაქმეთა ერთად მოქმედება, ერთად ყოფნა ამ საქმიანობის დროს. მაგ.: „**უტყუარ გამოცემებში**“ მოთავსებულია რამაზის, მისი ასისტენტისა და დიდი მეგობრის იაკობ ბრანდის, საოპერაციო შედღის ელენე ანტონიუკის ფოტოსურათები. ეს ადამიანები, ერთგული **თანამოსაქმეები... დათაშვილის გვერდით აღმოჩნდნენ ივნისის იმ ღირს-სახსოვარ დილას**“ („თბილ.“); „**ზუთრაბი თანამოსაქმეებთან** ერთად ერევანში იქაურ მანქანათმშენებლებს ეწვია“ („ცისკ.“); „**გაგზარდოთ ჩვენი შვილები, ჩვენი ახალგაზრდა თანამოსაქმეები**“ („მკერავეები“ ამ უწმინდესი მოვალეობის სრული შეგნებით...“ („თბილ.“); „**სათქმელი პირველად, ცხადია, [მის] მეგობრებს, თანამოსაქმეებს ექნებათ**“ („ცისკ.“); „**შამანაძემ... და მისმა თანამოსაქმეებმა კარგა ხანია უბატაკეს წლიური სახელმწიფო დავალების განაღდება**“ („თბილ.“); „**ეს მართო ჩემი მოსაზრება არ გახლავთ, ასევე ფიქრობენ ჩემი თანამოსაქმეები**“ („კომ.“).

ძველ ქართულში ბევრი იყო **თანა-** ელემენტით ნაწარმოები სიტყვა და იგი იქაც ერთად მოქმედებაზე მიუთითებდა. თვითონ **თანა, თანად** სიტყვებს ასე განმარტავენ: ერთად, თანა, „ურთ“ (ძველ). მისი დართვით შედგენილი სიტყვებიც ამ შინაარსის შემცველია (ზოგი მათგანი თანამედროვე ქართულში აღარ იხმარება): **თანა-აღზრდილი** — ერთად გაზრდილი; **თანა-მეინავე** — თანამესუფრე; **თანა-ტყუე** — ერთად მყოფი ტყვედ; **თანა-სვლა** — ერთად სვლა; **თანა-მორწმუნე** — ერთმორწმუნე და სხვ.

ასე რომ, **თანა-** როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში ერთად მოქმედების, ერთად საქმიანობის შინაარსს ქმნის.

ბოლო ხანებში ამ სიტყვის მნიშვნელობა გაფართოვდა, მისი ხმარების არე განვირცო. თუმცა **თანამოსაქმეები** არიან ისინი, ვინც ერთად საქმიანობენ, ერთ საქმეს ერთად, ერთმანეთის გვერდით აკეთებენ და ენაშიც ასე იხმარება ეს სიტყვა, მაგრამ საჭირო გახდა აგრეთვე სიტყვა ერთი პროფესიის პირთა აღსანიშნავად, როდესაც ეს პირები ერთად კი არა, არამედ სხვადასხვა ადგილას საქმიანობენ, ე. ი. ისეთ პირთა აღსანიშნავად, რომლებიც ერთ საქმეს ემსახურებიან, ერთსა და იმავე საქმეს აკეთებენ, თლონდ ერთმანეთისაგან მოშორებით. მაგ.: „**ჩვენებური ფეიქრები ეჯიბრებიან თავიანთ ივანოვოელ თანამოსაქმეებს**“ („კომ.“); „**კრწანისული ქამასოკოს მოყვანის ტექნოლოგია თანდათან დაიხვეწება და უფრო გემრიელი იქნება. ამისათვის მათ მეგობრების — ლენინგრადელი და მოსკოველი თანამოსაქმეების მდიდარი გამოცდილება უნდა გამოიყენონ**“ („კომ.“). ამ წინადადებებში გამოხატულია აზრი, რომ ჩვენებურ ფეიქრებს ივანოვოში, ან ქართველ ტექნოლოგებს მოსკოვსა და ლენინგრადში ჰყავთ თავიანთი პროფე-

სიის, საქმიანობის თანაზიარი ხალხი. მაშასადამე, **თანამოსაქმე** ამ შემთხვევაში ნახმარია დაახლოებით იმავე შინაარსით, რასაც ვაღმოსცემს სიტყვა **კოლეგა** გარკვეული სფეროს, გარკვეული პროფესიის ადამიანების მიმართ, მაგრამ, რადგან **კოლეგა** სიტყვის გამოყენების არე შემოფარგლულია (იხ. **კოლეგა**), აქ მის გამოყენებას ენამ თავი აარიდა და **თანამოსაქმე**-ს გამოყენება ამჯობინა.

**თანაღკრობა** იხ. **თანა-**, 1.

**თანაღროული** იხ. **თანა-**, 2.

**თანამებობრობა** იხ. **თანა-**, 3.

**თანამოსამმე** იხ. **თანა-**, 4.

**თაობაზე/შესახებ** სინონიმური შინაარსის მქონე ცალკე მდგომარეობაში თანდებულება; შესაბამის სახელებს ნათესაობით ბრუნვაში ითხოვენ, განსაკუთრებით ხშირად იზმარებიან ისინი ჩვენებით ნაცვალსახელებთან (ამის, მაგის, ჩემს, ჩვენს, თქვენს...). მოხმარების არის მიხედვით ეს თანდებულები სხვაობენ: **შესახებ** უფრო ფართოდაა გავრცელებული, **თაობაზე** კი შედარებით წიგნურია. ეძებნებათ განსხვავებული სემანტიკური ნიუანსებიც. კერძოდ, **თაობაზე** უფრო განსხვავებული, ზოგადი შინაარსის სახელებს დაერთვის, **შესახებ** თანდებულები კი — კონკრეტული საგნობრივი მიმართების სახელებს. შდრ.: ბეკრი საყვედური გამოითქვა მშენებლობების გაჭინაურების **თაობაზე** [არ ივარგებდა: შესახებ] და: ამ სახლის მშენებლობის მიმდინარეობის **შესახებ** [არ ივარგებდა: თაობაზე] მოხსენდა აღმასკომს, აღნიშნული სემანტიკური განსხვავება უნდა ედოს საფუძვლად ამ თანდებულებთან ნაცვალსახელთა განაწილების პრინციპსაც: პირის ნაცვალსახელებთან, როგორც უფრო კონკრეტული საგნობრივი მიმართების სიტყვებთან, მხოლოდ **შესახებ** თანდებული გამოიყენება: **ჩემს, ჩვენს, შენს, თქვენს (ი)მის, (ი)მათ — შესახებ** [არ ვარგა: ჩემს, ჩვენს, შენს, თქვენს, მის, მათ — თაობაზე]. უფრო ზოგადი შინაარსის მქონე მესამე პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელებთან კი ორივე თანდებული გვხვდება: **ამის თაობაზე** და **ამის შესახებ**, **მაგის თაობაზე** და **მაგის შესახებ** და მისთ.

შეინიშნება კიდევ ერთი ნიუანსი: ის, რასაც თანდებული **თაობაზე** უკავშირდება, აუცილებლად უნდა იყოს რაღაც ამბავი, ინფორმაცია (და, შესაბამისად, შესიტყვებაში იქნება მსჯელობა რაღაც ამბის, ინფორმაციის ირგვლივ). შდრ.: „ამ დღეებში კოლეგები გამოეხმაურა მოსკოველთა მოწოდებას ტრადიციული შაბათობის **თაობაზე**“ („თბილ.“).

მართალია, აღნიშნული განსხვავებული ნიუანსები **თაობაზე** და **შესახებ** თანდებულთა შორის მკრთალადაა გამოხატული, მაგრამ მათი გათვალისწინება უთუოდ საჭიროა. დარღვევები, როგორც მოსალოდ-

ნელი იყო, **თაობაზე** სიტყვის შედარებით შეზღუდული სემანტიკური ველის გაფართოების ცდებს უკავშირდება. შდრ.: „ამ არცთუ ისე უჩვეულო ამბის **თაობაზე** [კონკრეტულ ამბავს ეხება და ამიტომ უმჯობესია: შესახებ] კვლავ ანზორს მოვუსმინოთ“ („კომ.“); „...აქ არავინ... არ ცდილა საჭირო დასკვნები გამოეთანა პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის **თაობაზე** [საუბარი კონკრეტულ ღონისიებას ეხება და უნდა იყოს: შესახებ] და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებებიდან [ტავტოლოგიის თავიდან აცილების მიზნით შეიძლებოდა პირველი **შესახებ** საერთოდ ამოგვეღო: პროტექციონიზმისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ]“ („კომ.“); „ჩვენ ბევრი გვსმენია ამ ფაქტის **თაობაზე** [უნდა იყოს: შესახებ]“ („კომ.“); „მასში არსად, არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი იმის **თაობაზე** [უმჯობესია: შესახებ], თითქოს საქართველოში სოციალური თვალსაზრისით ამჟამად კრიზისული მდგომარეობა შექმნილიყოს...“ („კომ.“); „თქვენ რატომ ვერ შეიტყვეთ ამ ბიჭის **თაობაზე**? [უნდა იყოს: შესახებ]“ („ახ. კომ.“).

**თარგმნა — თარგმანი.** თანამედროვე ქართულში არცთუ იშვიათად ირევა ერთი ფუძის მქონე ორი სიტყვა — **თარგმნა** და **თარგმანი**.

**თარგმნა** სახელია **თარგმნის** ზმნის მოქმედებისა. თანამედროვე ქართულში ნიშნავს ერთი ენიდან მეორეზე გადაღებას. ძველ ქართულში მას ჰქონდა **განმარტების** მნიშვნელობაც: „იგაგიანის სიტყვის გაცხადება“ (საბა). ბუნებრივი შესიტყვებებია: **თარგმნის ხელოვნება**, **თარგმნის სიმწელე**, **პწკარედით თარგმნა**, **დედნიდან თარგმნა** და სხვ. **თარგმანი** კი ეწოდება ერთი ენიდან მეორეზე გადაღებულ ტექსტს ან სიტყვას. მაშასადამე, **თარგმანი** გულისხმობს **თარგმნის** შედეგს, ნაყოფს. ბუნებრივი შესიტყვებებია: **თავისუფალი თარგმანი**, **მხატვრული თარგმანი**, **ზუსტი** (სიტყვასიტყვითი) **თარგმანი**, **მდარე თარგმანი**, **რამდენიმე თარგმანი**, **თარგმანის კრიტიკა**, **თარგმანის სიზუსტე**, **დედნისა და თარგმანის შესაბამისობა**, **თარგმანის შეფასება** და სხვ.

ზოგჯერ სიტყვა **თარგმანი** გვხვდება ისეთ შემთხვევებში, როცა კონტექსტის შინაარსი მოითხოვს **თარგმნა** სიტყვას: „**თარგმანის ხელოვნებით** მწერალთა შედარებით ფართო წრე, ბევრი გამოჩენილი შემოქმედი დაინტერესდა“ („ლიტ. საქ.“); „თუ როგორ უნდა წყდებოდეს ქართული მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოების სხვა ხალხთა ენებზე **თარგმანის** საკითხი, ეტყობა ეს კითხვა უპირატესად სათარგმნელი ლიტერატურის შერჩევასა და **თარგმანის** ორგანიზაციულ მხარეს ეხება“ („ლიტ. საქ.“); „რედაქცია დისკუსიას იმის ღრმა რწმე-

ნით ამთავრებს, რომ ანკეტის მონაწილეთა პასუხებმა ღრმად ჩაგვახეხედა **თარგმანის საქმის** მდგომარეობაში, გვიჩვენა გზები არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად, კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ **თარგმანი** დიდი კულტურული, ეროვნული და ინტერნაციონალური მნიშვნელობის საქმეა“ („ლიტ. საქ.“) და სხვ. ამგვარი შემთხვევები საკმაოდ ხშირია თანამედროვე ქართულში. ყველა ამ კონტექსტში მოქმედება ივარაუდება და არა მისი შედეგი; მოცემულ კონტექსტებში კი სახელები **საკითხი, საქმე, ხელოვნება...** მხოლოდ მოქმედების გამომხატველ ცნებას უკავშირდებიან. მაშასადამე, ყველგან **თარგმანის** მაგივრად უნდა იყოს **თარგმნა: თარგმნის ხელოვნება, თარგმნის ორგანიზაციული მხარე, თარგმნის საკითხი, თარგმნის საქმე** და მისთ.

**თვე**-ს თანამედროვე ქართულში ერთადერთი მნიშვნელობა აქვს: იგი დროის ერთეულია, ასტრონომიული წლის მეთორმეტედი ნაწილი. თვეების თანამედროვე სახელებია: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი. საბას ლექსიკონში თვეების სახელწოდებები ასეა დამოწმებული: „ქართულის ენით ეწოდებიან: იანვარს — აპანი, ფებერვალს — სურწყუნისი, მარატს — მირკანი, აპრილს — ივრეცა, მაისს — ვარდობისა, ივნისს — მარიალისა, ივლისს — თიბისა, აგვისტოს — ქველთობისა, სექტემბერს — ახალწლისა, ოქტონბერს — სთელისა, ნოენბერს — ტირისკნისი, დეკემბერს — ტირისდენი“.

ქართულში არსებობს ზოგი თვის ძველი ხალხური სახელწოდებაც, რომელიც **თვე** სიტყვის მეშვეობითაა ნაწარმოები: ვარდობისთვე (მაისი), თიბათვე (ივნისი), მკათათვე (ივლისი), მარიაობისთვე (აგვისტო), ენკენისთვე (სექტემბერი), ღვინობისთვე||მწიფობისთვე (ოქტომბერი), გიორგობისთვე (ნოემბერი), ქრისტეშობისთვე (დეკემბერი). თვეების ამ ხალხურ სახელწოდებათათვის ამოსავალია დროის ამ მონაკვეთში დამახასიათებელი ძირითადი სამეურნეო საქმიანობა (თიბვა, მკა...), მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაული (მარიაობა, გიორგობა, ქრისტეს შობა...) ან სხვა მოვლენა (ვარდობა, ღვინობა, მწიფობა...) და ა. შ. ამდენად, გასაგებია, რომ სიტყვა **თვე** განსაზღვრულია მათი გამომხატველი სახელებით (ამიტომ ფიქტორებს იგი თვეების სახელწოდებებში). ამ ტრადიციის ანალოგიით შეიძლება აიხსნას ქართულში ამჟამად საკმაოდ გავრცელებული ჩვევის დამკვიდრება — თვეთა თანამედროვე ლიტერატურულ სახელწოდებებთან **თვე** სიტყვის ზედმეტად ხმარება. ხშირად ამბობენ და წერენ: **იანვრის თვე, თებერვლის თვეში, მაისის თვის ოცდართში** და ა. შ. ნათელია, რომ **თვე** სიტყვა ასეთ შემთხვევაში ტავტოლოგიას ქმნის, „**სექტემბრის თვეში** [უნდა იყოს: სექტემბერში] დავიძარით სტალინგრადის



დასაცავად“ („ლიტ. საქ.“); „იანვრის თვეში [უნდა იყოს: იანვარში] არგენტინაში გამგზავრება... მაფიქრებდა“ („სამშ.“); „რა შეედრება საქართველოს ოქტომბრის თვეში [უნდა იყოს: ოქტომბერში]“ (გ. კარბ.); „მაშინდელი განათლების მინისტრი... ჩამოვიდა მაისის თვეში [უნდა იყოს: მაისში]“ („სამშ.“); „მაისის თვეში [უნდა იყოს: მაისში] ბარისახოში გაიხსნა კომკავშირული მეთოდკაბინეტი“ („ახ. კომ.“); „სექტემბრის თვეში [უნდა იყოს: სექტემბერში] ხევსურეთში გათვალისწინებულა ზონალური შეჯიბრების გამართვა ტურისტულ „მრავალჭიღში“ (იქვე); „მარტის თვის [ხედივითა: თვის] თბილ ამინდებს გამოეტყუებინა ტყემლები“ (თ. ლანჩ.); „უძველეს დროში მესაქონლე და მიწათმოქმედი ხალხი ახალ წელს გაზაფხულზე, მარტის თვეში [უნდა იყოს: მარტში] დღესასწაულობდა“ („კომ.“) და მისთ. სწორი ხმარებისათვის შდრ.: „გასული წლის ოქტომბერში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო სპეციალური დადგენილება“ („ახ. კომ.“); „წლევიანდელი წლის აგვისტოს ანგარიშით შრომობს შორაპნის ქარხანა ელექტროენერჯის მექანიკური სამჭროს ხარატი... გიორგი ნებიერიძე“ („ახ. კომ.“); „გასული წლის დეკემბერში გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ჩვენი მშრომელი ხალხი ნათელი ოპტიმიზმით განაწყო...“ („კომ.“).

თანამედროვე ქართულში თვე სიტყვის გამოყენებისას შეიმჩნევა კიდევ ერთი გადახრა: ამ სახელთან დაწყვილებულია სიტყვა დრო, თითქოს თვე თავისთავად დროზე არ მიუთითებდეს. აგულისხმება ამგვარი შემთხვევები: „მას შემდეგ ორ თვეზე მეტი დრო გავიდა“ („კომ.“). საკმარისი იყო თქმულიყო: ორ თვეზე მეტი გავიდა.

**თქვა — უთხრა** „მეტყველება-წრის“ ზმნებია, რომლებიც, ჩვეულებრივ, შედის ავტორისეულ რემარკაში, ე. ი. ახლავს პირდაპირ ნათქვამს. **უთხრა** (ეუბნება, ეტყვის) ზმნის გამოყენებისას ადრესატად ყოველთვის სხვა პირი იგულისხმება; **უთხრა** (ეუბნება) ზმნა შეიძლება მოლაპარაკის პასუხსაც ასახედეს, ოღონდ პასუხს არა შეკითხვაზე, არამედ მოსაუბრის თხოვნაზე, ან საუბრისას წამოჭრილ საკითხზე. ამიტომ არამართებულია **უთხრა** ზმნის გამოყენება პასუხის გაცემის მნიშვნელობით: „— კუდავ, რას დაეხეტებო“ — ვერა ხედავთ, ბუზებს გიგერიებთო! — ამაყად **უთხრა** [უმჯობესია: უბასუხა, მიუგო] კუდამ“ („დედა ენა“).

არ არის მართებული **უთხრა** ზმნის გამოყენება შეკითხვის დასმის (ეკითხება, შეეკითხა) მნიშვნელობითაც: „— დათო, არ ვინდა მშენებლობა ვითამაშოთ? — **მოთხრა** [უნდა იყოს: მკითხა] კოტემ“ („დედა

ენა“); „მამამ... ყუთზე სახელურები დაამავრა და თენგიზს უთხრა [უნდა იყოს: ჰკითხა]: „ასეთი მანქანა გინდა? („დედა ენა“).

რაც შეეხება უპასუხებს, მიუგებს ზმნებს, მათი ძირითადი მნიშვნელობაა კითხვაზე პასუხის გაცემა: „— საით მიიჩქარი დილაადრიან? — ვეკითხები ბიჭუნას. — სკოლისაკენ! — მიპასუხებს სხარტად“ („თბილ.“). მაგრამ, თუ უპასუხა, მიუგო სიტყვები პასუხის აღსანიშნავად კითხვას კი არ მოსდევს, არამედ გამოხატავენ თხოვნას, სურვილს, — მაშინ უფრო მართებული ჩანს უთხრა (ეუბნება, ეტყვის) ზმნის გამოყენება. შდრ.: „— დედა, გვიამბე რა, მამაზე!... ის ხომ ჯარისკაცი იყო... — რა ვიამბოთ, შვილებო, — უპასუხებდა [უმჯობესია: ეტყოდა] დედა და თვალზე მომდგარ კურცხალს მოიწმენდა თავსაფრის ბოლოთი“ („კომ.“).

სიტყვები შეკითხვა, პასუხი შედის მყარ შესიტყვებებში: (შე)კითხვის დასმა, (შე)კითხვის მიცემა, პასუხის მიგება, პასუხის გაცემა. შეუძლებელი შესიტყვებაა კითხვის მიგება (მოგება). სალიტერატურო ქართულში დასტურდება კითხვა-პასუხის მიცემასთან დაკავშირებული არამართებული შეხამების შემთხვევები. მაგალითად: „კახეთის გზაზე ვღაგაერთ და წინასწარ ეს კითხვა უნდა მოგაგო [უნდა იყოს: მოგცე, დაგისვა; უნდა შეგეკითხო], ჩემო მკითხველო“ (ლ. სანიკ.). კითხვა უნდა მოგაგო ყოველად გაუმართლებელი შესიტყვებაა. იგი რამდენიმე ფრაზის კონტამინაციის შედეგი უნდა იყოს: პასუხი მოგიგო, კითხვა მოგცე და მოგაგებო (სიტყვა წინასწარ იწვევს ასოციაციურ კავშირს მოგებების შინაარსთან).

თქვა (ამბობს, იტყვის) ზმნის შინაარსი მოსაუბრესთან აუცილებელ უშუალო მეტყველებითს კონტაქტს არ გულისხმობს, ე. ი. მისთვის არ არის აუცილებელი სხვა პირთან მიმართება. თქვა (ამბობს, იტყვის) პირთა მიმართების თვალსაზრისით ნეიტრალურია და ამიტომ დიאלოგურ მეტყველებაში მისი გამოყენება შეუფერებელია. შდრ.: „— უჰ, რამხელა აკიღოა, რამხელა! — იძაბდა გაზარებული ოთარი. — არა, შეილო, ეგ აკიღო არ არის, მაგას ჩხა ჰქვია, აკიღოს ახლა ავიჭრი, — თქვა [უნდა იყოს: უთხრა] პაპამ და ვაზის ძირთან ჩაიმუხლა“ („დედა ენა“); „აბა, ბიჭებო, მარჯვენა მხრიდან დავიწყით! — თქვა [უმჯობესია: უთხრა, მიმართა] ბრიგადირმა“ („დედა ენა“); „აბა, შენ იცი, რა ამბავსაც მეტყვიო... — ამაზე უკეთესს რას გეტყვი: მთელი წელიწადია, შენს საქათმეს ვინადგურებ, ერთხელ ხელში ძლივს ჩაგივარდი და ახლაც ცოცხალი გაშიშვიო, — თქვა [უნდა იყოს: უთხრა] მელამ და ტყისკენ გაქუსლა“ („დედა ენა“). შდრ. ამავე წინადადე-

ბაში ზმნები: გეტყვი, შეტყვიო, რომელთა შესატყვისია სწორედ უთხრა და არა თქვა (იტყვის).

თქვა გამოუყენებიათ არა მარტო უთხრა, საბასუხოდ თქვა-ს მნიშვნელობით, არამედ შეკითხვის დასმის აღსანიშნავადაც. მაგალითად: „რატომ? — თქვა [უხლა იყოს: იკითხა] პაპა ნიკიტამ“ („კომ.“):

არცთუ იშვიათად უმართებულო შესიტყვებებს წარმოშობს სათქმელის ექსპრესიულად გამოხატვის თვითმიზნური სურვილი. ასეთი დასაწუნი ექსპრესემაა წართქვა ზმნა შემდეგ წინადადებაში: „მერე? — წართქვა ეშერსტმა“ (ალ. გამყრ., თარგმ.). ავტორს სურს თქვას, რომ პერსონაჟმა ძლივს იკითხა, ძლივს წარმოთქვა შეკითხვა. ხელოვნურმა წართქვამ ვერ ვადმოსცა სათანადო შინაარსი.

-თქო (<თქვა) ე. წ. სხვათა სიტყვის ნაწილაკია, რომელიც გამოიყენება სხვათა ნათქვამის ან განაზრახის უცვლელად გადმოცემის დროს. ამავე ფუნქციით ქართულში არსებობს კიდევ -მეთქი (<მე ვთქვი), -ო ნაწილაკები. მათი მოხმარების სფეროები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გამიჯნულია.

-მეთქი ნაწილაკი გამოყენებულია პირველი პირის (მოსაუბრის) აღრე ნათქვამის ან განაზრახის განმეორებით გადმოსაცემად იმ შემთხვევაში, როცა პირველი პირი მხოლოდობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი („გუთხარი, ვერ წამოვალ-მეთქი“; „ფიქრობდი, ვერ წავალ-მეთქი“). იმ შემთხვევაში კი, როცა პირველი პირი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, მის მიერ ნათქვამის ან განაზრახის განმეორებით გადმოსაცემად გამოიყენება -ო ნაწილაკი (მაგ.: „გუთხარით, ვერ წამოვალთ“; „ფიქრობდით, ვერ წავალთ“).

-თქო ნაწილაკი გამოიყენება მეორე პირის მიმართ, როდესაც პირველი პირი (მოსაუბრე) თავის ნათქვამს მას აბარებს მესამე პირისათვის გადასაცემად (მაგ.: „დედას უთხარი, მალე მოვალ-თქო“, ან: „დედას უთხარი, მალე მოვა-თქო“). -თქო ნაწილაკი გამოიყენება მისინაც, როცა მოსაუბრე პირი მეორე პირს ავალებს, რაიმე ურჩიოს მასვე, მოსაუბრეს („მითხარი, სწორი არა ხარ-თქო!“).

-ო ნაწილაკი, გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევისა, გამოიყენება მესამე პირის ნათქვამის გადმოსაცემად („კურღლემა თქვა: ჩირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო“, — ხალხ.).

მიღებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სხვათა სიტყვის ნაწილაკების გამოყენებისა და მართლწერის წესები („თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“, I, 1970, გვ. 161—167). მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არ არის ზოგი ეს წესი საბოლოოდ გატარებული და დამკვიდრებული. შეინიშნება აღრევა ამ ნაწილაკთა გამოყენებისას. განსაკუთრებით ხშირია ისეთი შემთხვევე-

ბი, როცა -თქო ნაწილაკი გამოყენებული -მეთქი ან -ო ნაწილაკების ფუნქციით, რასაც ქართული ენის დიალექტებში ეძებნება საფუძველი. ზოგ დიალექტში (მაგ., იმერულში, გურულში...) -თქო ნაწილაკი იხმარება იმ ფუნქციით, რა ფუნქციითაც -მეთქი ნაწილაკი, ე. ი. აღნიშნავს მოლაპარაკე პირის ნათქვამის ან განაზრახის გამეორებას („ვიფიქრე, წავალ-თქო“). ზოგ დიალექტში კი (მაგ., ფშაურში) ასეთ სიტუაციაში იხმარება -ო ნაწილაკი („ვიფიქრე, წავალო“).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით დიალექტიზმად, სალიტერატურო ენის ნორმიდან გადახვევად შეფასდება -თქო ნაწილაკის იმგვარი გამოყენება, როგორცაა ქვემოთ დასახელებულ ილუსტრაციებში: „მინდა გითხრა, ტკივილმოკლულებით დავდიოდი-თქო [უნდა იყოს: დავდიოდი-მეთქი]“ („ცისკ.“); „ძებნა აღარ დამიწყია, ვიფიქრე, ხვალ ვნახავ-თქო [უნდა იყოს: ვნახავ-მეთქი]“ (ი. გოც., თარგმ.); „გავშტერდი, არ ვიცოდი, რა მეძახუხა. რომ მეთქვა, დიახ-თქო [უნდა იყოს: დიახ-მეთქი], სიცილით მოკვდებოდა“ (იქვე); „რჩევისათვის მოვედი. მშობელია, მამაა. მართალია, ყველაფრის ღირსია, მაგრამ მე, შვილმა, როგორ განეცხადო: მამაჩემი მკვლელია-თქო [უნდა იყოს: მკვლელია-მეთქი]“ („თბილ.“); „ერთხანს მეც ვიფიქრე, ტელევიზიაში უნდა ვცადო-თქო [უნდა იყოს: ვცადო-მეთქი] ბედი“ („ახ. კომ.“).

-თქო ნაწილაკი უმართებულოდაა ნახმარი -ო ნაწილაკის მაგივრადაც: „შეიძლება ბავშვს მთელი კვირის განმავლობაში ეჩიჩინოთ, რომ  $4+4=8$  და, მერე რომ შეეკითხები  $4+4$  რამდენი იქნება-თქო [უნდა იყოს: იქნებაო], გიპასუხებს: ნაპოლეონ ბონაპარტიო“ („საქ. ქალი“); „მეორე დღეს შიშით აღარ ვიყავით — გამოვარდება ახლა ეს ჩვენი ტერეზა, იმ გალახვისა გამო გაგულისებულ დავგერევა ყველას-თქო [უნდა იყოს: ყველასო], ასე ვფიქრობდით“ (გ. დოჩან.). ამ უკანასკნელის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმა ვფიქრობდით მოითხოვს -ო ნაწილაკიან ფორმას (დაგვერევა ყველასო, ვფიქრობდით). ხოლო, თუ დასახელებული ზმნა მხოლოდობითი რიცხვის ფორმით იქნება, მასთან -მეთქი ნაწილაკიანი ფორმაა საჭირო (დაგვერევა ყველას-მეთქი, ვფიქრობდი).

მაშასადამე, ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით, სხვათა სიტყვის -თქო ნაწილაკის გამოყენება მხოლოდ მაშინაა სწორი, როცა აღნიშნავს პირველი პირის ნათქვამს მეორე პირის მიერ მესამესათვის გადასაცემად. ყველა სხვა შემთხვევა ნორმის დარღვევა იქნება.



0

**იბეჭდება** ენებიითის ფორმია **ბეჭდავს** ზმნისა და ნიშნავს: ბეჭდურად ქვეყნდება: „დღეს **იბეჭდება** ცნობა, რომ თქვენმა კრებამ წლის ანგარიში უარყო“ (ილია); „თბილისის სტამბაში მუდამ... **იბეჭდებოდა** მრავალი ქართული წიგნი“ (ი. გოგებ.). ეს ზმნა ერთპირიანია, შეეწყობა მხოლოდ ქვემდებარე და, ისიც, უსულოთა ჯგუფის არსებითი სახელით გამოხატული.

უკანასკნელ ხანებში **იბეჭდება** ზმნამ გამოყენების არე მნიშვნელოვნად გაიფართოვა და სხვა სემანტიკური ჯგუფის, კერძოდ, სულიერთა (აღმდიანთა) აღმნიშვნელ სახელებთან ჯერ სასაუბრო ენაში, აქედან კი — სალიტერატუროშიც (განსაკუთრებით, პრესის ენაში) უმართებულო გამოთქმები წარმოშვა. მაგ.: „...ინგლისურ ენაზე **იბეჭდებიან** ცნობილი საბჭოთა მათემატიკოსები“ („კომ.“); „ახალგაზრდა ავტორები კი... **იბეჭდებიან** „ცისკრის“ ფურცლებზე“ („ახ. კომ.“); „ბ. მიღვანი სისტემატურად **იბეჭდება** რესპუბლიკის სხვადასხვა ყურნალ-გაზეთებში“ („თბილ.“); „ვალერიან მამუკელაშვილი ხშირად **იბეჭდებოდა**... ჩვენი ყურნალის ფურცლებზე“ („ნიანგი“); „იმ ხანად გამოდიოდა ლიტერატურული ყურნალი, რომელშიც სისტემატურად **იბეჭდებოდა** პოეტების ერთი ჯგუფი“ („დროშა“); „მას შემდეგ ახალგაზრდა პოეტი ქალი სისტემატურად **იბეჭდება** რესპუბლიკის ყურნალ-გაზეთებში“ („სოფლ. ცხოვრ.“).

იშვიათ შემთხვევაში სულიერის აღმნიშვნელი სახელი **ბეჭდავ** ზმნის პირდაპირ ობიექტადაც კი არის გამოყენებული, განსაკუთრებით, სტილიზებულ მეტყველებაში: „...ყურნალებში უნდა გყავდეთ ნაცნობების წრე, სადაც თქვენ არასოდეს არ **გბეჭდავენ**“ („ნიანგი, ბიბკა“). ანალოგიური ვითარებაა **იბეჭდება, ბეჭდავენ** ზმნათა სინონიმური სტამბავენ, ისტამბება ზმნების გამოყენებასთან დაკავშირებით: „მას **სტამბავენ** სტამბულ-სტოკჰოლმში, პარიზ-ვაშინგტონ-ლონდონში!“ (იქვე).

გამოსახატავი აზრი ორგვარად შეიძლება ვადმოიცეს: 1. ორპირიანი გარდამავალი ზმნით **ბეჭდავს/სტამბავს**, როდესაც სუბიექტი სულიერი სახელია, ხოლო პირდაპირი ობიექტი — უსულო. მაგ.: **მწერალი** (ავტორი...) **ბეჭდავს/სტამბავს** წიგნს (ლექსს, მონოგრაფიას, სტატიას...); 2. ერთპირიანი ზმნით — **იბეჭდება/ისტამბება**, რომლის ქვემდებარე უსულო სახელია, ხოლო მართული მსაზღვრელი — სულიერი. მაგ.: **იბეჭდება/ისტამბება** **მწერლის** (ავტორის...) **წიგნი** (ლექსი, მონოგრაფია, სტატია...).